

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორთა საბჭომ ავღანეთის ბიზნეს დელეგაციასთან შეხვედრა გამართა

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავჯდომარემ გელა ბეჟუაშვილმა და საბჭოს წევრებმა, საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ჩამოსულ ავღანეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობით ბიზნესჯგუფს უმასპინძლა. დელეგაციას გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ზალმაი ხალილზადი ხელმძღვანელობს, რომელიც ამჟამად, კომპანია „Grpyhon Partners“-ის პრეზიდენტია. ზალმაი ხალილ ზადი „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ბიზნესის წარმოებითა და იმ გამოცდილებით დაინტერესდა, რომელიც კომპანიას ინდუსტრიული წარმოების სხვადასხვა დარგში მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებსა და უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისას დაუგროვდა. შეხვედრისას დელეგაციის წევრებმა სამომავლოდ პარტნიორობის შესაძლებლობებიც განიხილეს.

კომპანია GIG-ის ხელმძღვანელობამ, თავის მხრივ უცხოელ კოლეგებს ქვეყანაში არსებული საინვესტიციო და ბიზნეს გარემო, ასევე, წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება გაუზიარეს. შეხვედრას სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენელიც ესწრებოდა ავღანური დელეგაციის საქართველოში ვიზიტის მიზანია დაამყარონ პარტნიორული ურთიერთობები და ადგილზე გაეცნონ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ ქართულ კომპანიებს. ბიზნესმენტა ინტერესის სფეროს ტელეკომუნიკაციები, ენერჯეტიკა, წიაღისეულის მოპოვება და სამთო გადამამუშავებელი მრეწველობა წარმოადგენს. შეხვედრის დასასრულს მხარეები სამომავლო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმდნენ. ავღანური დელეგაციის ვიზიტი საქართველოში საგადასახადო ომბუცმენტისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით შედგა.

07.03.2014

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

